საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ითონიშვილი ვალერიან ჯამბულის ძე

ითონიშვილი ვალერიან ჯამბულის ძე (დ. 25. X. 1925, სოფ. ყანობი, ახლანდ. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი), ეთნოლოგი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1972), პროფესორი (1978).

1953 დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი. 1957–63 მუშაობდა საქართვ. სახელმწ. მუზეუმში, ხოლო 1963-იდან – საქართვ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტში. 1972-იდან არის ამავე ინ-ტის დირექციასთან არსებული სამეცნ. საბჭოსა და სადისერტაციო საბჭოს წევრი. სადოქტორო დისერტაცია დაიცვა ცენტრ. კავკასიის მთიელთა საოჯახო ყოფის თემაზე, რ-შიც შესწავლილია ვეინახების (ჩაჩნებისა და ინგუშების), ოსებისა და ქართველ მთიელთა ოჯახის სტრუქტურა, საოჯახო ურთიერთობის ფორმები და ტრადიციები. 1981– 2006 იყო სოციალურ ურთიერთობათა შესწავლის საქართვ. ეთნოგრაფიის განყ-ბის უფროსი.

ი. ლექციებს კითხულობდა თსუში, რეგულარულად ხელმძღვანელობდა ეთნოგრ. ექსპედიციებს მთიულეთ-გუდამაყარში, ფშავ-ხევსურეთში, ერწო-თიანეთში, ქსნისა და ლიახვის ხეობებში, ჩაჩნეთ-ინგუშეთსა და ოსეთში. გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი, მ. შ. წიგნების სახით – ი. ჭავჭავაძის, ა. ყაზბეგის, თ. სახოკიას, გ. ბოჭორიძის, ს. ჯანაშიას და სხვათა ღვაწლის ამსახველი გამოცემები ქართულ ეთნოგრაფიაში. 2003 მიენიჭა ა. ყაზბეგის პრემია.

თხზ.: ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960; ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, თბ., 1969; ხევის ტოპონიმიკა, თბ., 1971; კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფა, თბ., 1977; სიმონ ჯანაშიას ღვაწლი ქართულ ეთნოგრაფიაში, თბ., 1991.